

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი**

**შუა საუკუნეების
საქართველოს ისტორიისა
და წყაროთმცოდნეობის
განყოფილების**

**ყოველწლიური სამეცნიერო
კონფერენცია**

კონფერენცია ეძღვნება რევაზ კვიციანიძის
დაბადებიდან 100 წლისთავს

2023 წლის 22 დეკემბერი

პროგრამა
•
მოსხენებათა შინაარსები



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი



**შუა საუკუნეების საქართველოს
ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის
განყოფილება**

**ყოველწლიური სამეცნიერო
კონფერენცია**

კონფერენცია ეძღვნება რევაზ კიკნაძის
დაბადებიდან 100 წლისთავს

პროგრამა

და

მოხსენებათა შინაარსები

2023

რედაქტორი: **სოფიო ქადაგიშვილი**

© ავტორთა ჯგუფი, 2023

ISBN 978-9941-33-685-0

DOI: 10.6084/m9.figshare.24796746

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2023

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაძის ქ. №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

პროგრამა

ჩატარების დრო:
2023 წლის 22 დეკემბერი
ჩატარების ადგილი:
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი
მისამართი:
თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N.2, კორპუსი 11

დასაწყისი: 10:30

სხდომის თავმჯდომარე: მარიამ ჩხარტიშვილი

შესავალი სიტყვა: გიორგი ჭეიშვილი

10:45

გიული ალასანია

რამდენიმე კომენტარი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტებთან დაკავშირებით

11:00

გონელი არახამია

„ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის აღდგენისათვის

11:15

მანანა სანაძე

ქართლის კათოლიკოსის აღსაყდრების თარიღისათვის

11:30

ავთანდილ სონღულაშვილი

სკოპციების რელიგიური სექტა საქართველოში გერმანული წყაროებისა და საარქივო დოკუმენტების მიხედვით

11:45

ვახტანგ გოილაძე

რამ აიძულა ბასილ პროტოასიკრიტი ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედრობაზე მიეთითებინა?

12:00

ეკა კვაჭანტირაძე

რამდენიმე პარალელი მედიევალური ქართული ისტორიოგრაფიული და ბიბლიური სააზროვნო სისტემიდან

12:15

გიორგი ჭეიშვილი

საქართველო–ბიზანტიის საზღვარი XI საუკუნეში:
იმიერტაო

12:30

დისკუსია

13:00

შესვენება: ჩაი და ყავა

13:15

ალექსანდრე თვარაძე

მონაცემები ჰორიზონტის მხარეთა შესახებ შუა საუკუნეების საისტორიო თხზულებებში: საქართველოს სამეფოს ლოკალიზებისთვის ქვეყნიერების შესაბამის მხარეში

13:30

პაპუნა გაბისონია

ენგურის ხეობის ისტორიული გეოგრაფიიდან
(სამეგრელოს მონაკვეთი)

13:45

ქეთევან ქუთათელაძე

გზის მიმართულების მაჩვენებელთა სახელწოდებები ქართულ წყაროებში

14.00

სოფიო ქადაგიშვილი

საკრალური სივრცე ქართულ ჰაგიოგრაფიაში

14:15

ზურაბ თარგამაძე

ქართული საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საისტორიო სკოლის რეპრეზენტაციის თავისებურებები გვიანანტიკური

პერიოდის ქართლის ისტორიის კვლევის მაგალითის მიხედვით

14:30

მარიამ ჩხარტიშვილი

საქართველოს ისტორიის ლიტერატურული წყაროები:
„ბედი ქართლისა“

14:45

დისკუსია

15:15

**ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ 25-ე ტომის
წარდგინება**

15:45

კონფერენციის შეჯამება და დახურვა

16:00

ფურშეტი კონფერენციის მონაწილეთათვის

მონსენიბატა შინაარსები

რამდენიმე კომენტარი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტებთან დაკავშირებით

გიული ალასანია

საქართველოს უნივერსიტეტი

1. ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების სავარაუდო თარიღებს შორის სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება 491 წელი (ვ. გოილაძე). თარიღი მომდინარეობს სირიული ჰაგიოგრაფიული ძეგლიდან – „ფირან გუშნასპის მარტვილობა“. აღნიშნულ ძეგლში ყველა თარიღის ათვლის წერტილად აღებულია სპარსეთის შაჰების ტახტზე ასვლა. მათგან მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ არის დაზუსტებული ათვლის წერტილი. ნათქვამია მხოლოდ „მეორმოცე წელს“, რასაც გამომცემელმა ჩაუმატა ფრჩხილებში „ზავის დადების“, რაც, როგორც ადრეც აღვნიშნე, შეცდომაა. ასეთმა დაზუსტებამ შეცდომაში შეიყვანა ვ. გოილაძე, რომელმაც ჩათვალა, რომ საქმე ეხება ბიზანტიას და სპარსეთს შორის ომის დასრულებას და ზავის დადებას, ხოლო ეს ფაქტი დაუკავშირა ვახტანგ გორგასლის დაღუპვას. უკანასკნელ დასკვნას არ იზიარებს მ. სანაძე, თუმცა მიიჩნევს, რომ მითითებული 491 წელი განხილული უნდა იყოს 485-490 წელს ქართლსა და სომხეთში სპარსეთის წინააღმდეგ მიმდინარე აჯანყების ფორმატში. ჩემი დასაბუთებით „მეორმოცე წელს“ გულისხმობს კავადის მართვის დასასრულს და ხოსრო ანუშირვანის ტახტზე ასვლას, რაც ნიადაგს აცლის გამოგონილ 491 წელს.

2. მოხსენებაში ვუბრუნდები ადრე ჩემს გამოკვლევაში განხილულ საკითხს, რომელიც ეხება მონღოლების შემოჭრის შედეგად ორად გაყოფილი საქართველოს დროს XIII საუკუნის შუა წლებიდან დასავლეთ საქარ-

თველოსა და ეგვიპტის მამლუქთა შორის დამყარებულ დიპლომატიურ ურთიერთობებს, კონკრეტულად, 1268 წლის შემთხვევას.

არაბი ავტორის აბდ აზ-ზაჰირის ცნობით, ბაიბარსის ელჩი დაბრუნდა საქართველოდან ქართველი მეფეების ორი წერილით სულთანთან. ერთი ეკუთვნოდა აფხაზთა მეფეს, მეორე კი დავითს, თბილისის მეფეს. აღნიშნულ ცნობას სხვადასხვა მკვლევარი შეეხო. მათ მიიჩნიეს, რომ წერილები მართლაც, ორი მეფისაგან იყო გაგზავნილი, რაც მე არ გავიზიარე. ვინაიდან ეს ჩემი მოსაზრება არ იყო მიღებული, საჭიროდ მივიჩნევ კვლავ და უფრო დეტალურად შევვხო აღნიშნულ საკითხს და გავიმეორე ადრე გამოთქმული ჩემივე ვარაუდი.

3. თამარის გარდაცვალების თარიღი არაერთხელ განხილულა სამეცნიერო ლიტერატურაში. მოტანილი იყო არაერთი არგუმენტი უფრო გავრცელებული 1207, 1210 წლების დასასაბუთებლად. მოხსენებაში ყურადღება იქნება გამახვილებული რევაზ კიკნაძის გამოკვლევაში წარმოდგენილ მნიშვნელოვან დაკვირვებებზე, რაც უფრო დამაჯერებელს ხდის მკვლევართა მიერ შემოთავაზებულ 1207 წელს. სამწუხაროდ, ფართო ლიტერატურის მოხმობისას რევაზ კიკნაძის გამოკვლევაში მოტანილი 1207 წლის მხარდამჭერი არგუმენტები ერთგვარად ყურადღების მიღმა რჩებოდა, რაც მსჯელობას აღნიშნულ საკითხზე მყარ ნიადაგს აცლიდა.

„ქართლის ცხოვრების“ ერთი აღბილის აღდგენისათვის

გონალი არახამია

საქართველოს უნივერსიტეტი

ახალი „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი რედაქცია (შექმნილი XVIII საუკუნის 30-იან-50-იან წლებში), სხვათა შორის, შეიცავს ცნობას ოდიშისა და გურიის მთავრების – მამია დადიანისა და მამია გურიელის ჯიქეთში ლაშქრობის შესახებ 1533 წლის იანვარში. ამ ამბის აღწერაში ერთგან აღნიშნულია, რომ ბრძოლაში ორივე მხარემ მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა. ამ დროს კი დადიანი, გურიელი და მათი ლაშქარი „შეჩუენებულმა ცანდია ინალდიფითა გაინდვნა“, ამას მოსდევს ცნობა დადიანისა და გურიელის დახოცვის შესახებ.

ჩვენს ყურადღებას იქცევს სიტყვა „ინალდიფითა“, რომლის აზრი გაუგებარია. აღნიშნული დამახინჯებული ადგილის თავდაპირველი სახის აღსადგენად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: „ჯიქები“ და „ჯიქეთი“ ძველ საქართველოში ადილური ტომებისა და მათი განსახლების ტერიტორიის ზოგადი შემკრებლობითი სახელწოდებებია; ცანდია – აშკარად ერთ-ერთი ჯიქური თემის ცანდების (ჩანდების) მეთაურის გვარის სახელის ცან(დ)ბას ქართული (მეგრული) ფორმაა. როგორც წყარო გვაუწყებს, ცანდიამ დადიანისა და და გურიელის „ნდობა მოიპოვა“, რაც მოცემულ სიტუაციაში შეიძლება მხოლოდ ბრძოლის შეწყვეტას, დაზავებას და მინდობილი მხარის ხელშეუხებლობას გულისხმობდეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ცანდიამ დადიანისა და გურიელის „ნდობა მოიპოვა“, ჯიქებმა ისინი დახოცეს ანუ ცანდიამ მინდობილებისთვის

მიცემული პირობა გატეხა. ამიტომ უწოდებს მას მემატთანე „შეჩვენებულს“. ამ რეალიების გათვალისწინებით, გრაფემათა თანმიმდევრობა „ინალდიფითა“ წარმოგვიდგება როგორც გადამწერთა მიერ დამახინჯებული ფორმა სიტყვებისა „ინალ დიფითა ფიცითა“. „ინალ“ მამაკაცის გავრცელებული სახელია აფხაზურადილურ („ჯიქურ“) ხალხებში, ამიტომ განსახილველ გრაფემათა თანმიმდევრობიდან მისი ამ სახით გამოცალკევება მართლზომიერია. ამრიგად, ცანდიას ინალ რქმევია. აღსადგენი გვრჩება „დიფითა“-ს თავდაპირველი ფორმა. აქ გასაღებს იძლევა შუა საუკუნეებში გავრცელებული „ნდობის მოპოვების“ პროცედურა, რომლის არსებითი კომპონენტი იყო ფიცი, რისი მაგალითებიც აღნიშნული ეპოქის ქართულ (და არა მართო ქართულ) წერილობით ძეგლებში უხვადაა. ის ფაქტი, რომ ცანდია ინალმა დადიანისა და გურიელის „ნდობა მოიპოვა“, აუცილებლად გულისხმობს ფიცს. ამის გათვალისწინებით, „დიფითა“-ში „ფითა“ მიგვაჩნია „ფიცითა“ სიტყვის დამახინჯებად, ხოლო „დი“ ნაშთად სიტყვისა „დიფითა“. ამრიგად, განსახილველი ადგილი პირვანდელი სახით ასე წარმოგვიდგება: „შეჩვენებულმა ცანდია ინალ დი[დი]თა] ფი[ცი]თა გაინდვნა“.

ენგურის ხეობის ისტორიული გეოგრაფიიდან (სამეგრელოს მონაკვეთი)

პაპუნა ბაბისონია

ივანე ჭავჭავიძელის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ჭავჭავიძელის სახელობის ისტორიის
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ჰიდროგრაფიულ ქსელს წარმოადგენს მდინარე ენგური თავისი მრავალრიცხოვანი შენაკადებით, რომელიც უძველესი დროიდან იყო დასახლებული. შესაბამისად, ამ მდინარის აუზში მოქცეული დასახლებების წარსულის შესწავლა მნიშვნელოვანია ისტორიული თუ ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით. მდინარე ენგური სათავეს დასავლეთ საქართველოს ისტორიული მხარიდან-სვანეთიდან იღებს, ხოლო შემდეგ სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ მიჯნას მიუყვება და ანაკლიასთან შავ ზღვას უერთდება.

მოსხენებაში ენგურის ხეობის სამეგრელოს ნაწილს შევხებით. ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაშრომები ამ დიდი მდინარის ხეობის ისტორიის შესახებ შედარებით ნაკლებია. თავისთავად საინტერესოა ჰიდრონიმ ენგურის წარმომავლობა, რომლის ადგილობრივი, მეგრული სახელია ინგირი. ამასთან დაკავშირებით გვაქვს გარკვეული მოსაზრება, თუ რა უდევს საფუძვლად მდინარის სახელს. ქართულ საისტორიო წყაროებში ეს მდინარე ხან ენგურად, ხან ეგურად მოიხსენიება. სამეგრელოს ფარგლებში, დღეს, ენგური წალენჯიხა-მესტიის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვარზე მდებარე მცირე დასახლება ბარჯაშიდან ანაკლია-განმუხურამდე მოედინება. ამ მონაკვეთში მდებარეობს რამდენიმე

დიდი დასახლება: დარჩელი, კახათი, რუხი, რიყე, ფახულანი, ლია, ჭვარი, რომელთაც საინტერესო წარსული აქვთ. მდინარე ენგურის ხეობაში გადიოდა და დღესაც მოქმედებს უმთავრესი გზა, რომელიც ზემო სვანეთს დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებს. ამ გზაზე ნაწილობრივ დღემდე შემორჩა ისტორიული ნაგებობანი ადრეფეოდალური ხანიდან გვიან ფეოდალურ ხანამდე. გარკვეულწილად საინტერესოა ამ მდინარის ხეობებში დღემდე შემორჩენილი ტოპონიმები, რომლებიც ისტორიული სურათის აღდგენაში დაგვეხმარება, ვინაიდან საისტორიო წერილობითი წყაროებში ნაკლები ინფორმაციაა დაცული. რამდენიმე ისტორიული ძეგლი ენგურზე გიგანტური კაშხლის მშენებლობისას დაზიანდა ან წყალში ჩაიძირა, როგორც მაგალითად სოფელი ხუდონი, რომელიც XVII საუკუნის საისტორიო წყაროშია მოხსენიებული.

რამ აიძულა ბასილ პროტოასიკრიტი ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედრობაზე მიეთითებინა?

ვახტანგ გოილაძე

ივანე ჭავჭავიძელის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ჭავჭავიძელის სახელობის ისტორიის
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

1. საქართველოში ფართოდ გავრცელებული შეგონებით – უფლის ამალღების შემდეგ, ქრისტეს მოციქულებმა „რაჟამს წილ იგდეს“, „მაშინ ყოვლად წმიდასა ღვთის-მშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა“. ამის შემდეგ ღვთისმშობელს „ეჩვენა

ძე მისი“ და ურჩია საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად ანდრია პირველწოდებული წარველინა. ეს გამოცემა გახდა საფუძველი ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედრად მისაჩვენად.

2. საქართველო, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ამის შესახებ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში („მეფეთა ცხოვრება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა, წმ. ნინოს „ცხოვრება“) არაფერია ნათქვამი – საერთოდ, X საუკუნემდე ღვთისმშობლის წილხვედრობა ქართულ წერილობით წყაროებში არ არის ასახული“ (ე. ბუბულაშვილი).

3. ასევეა უცხოენოვან წყაროებში – IV საუკუნის ბოლოს იერუსალიმში მყოფმა ქართველმა უფლისწულმა ბაკურიმ, როცა ისტორიკოს რუფინუსს ქართლის მოქცევის შესახებ უამბო, ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედრობაზე არაფერი უთქვამს. აღნიშნულ ფაქტზე არც პეტრე იბერიის ასურულ „ცხოვრებაშია“ ცნობა. უფრო მეტიც, ეპიფანე მონაზვნის IX საუკუნის მეორე ნახევარი) ანდრია პირველწოდებულის „ცხოვრებაში“ და ნიკიტა-დავით პალფაგონოლის (გარ. 830 წელს.) ანდრიას „მიმოსვლაში“ (ასევე ანდრიასადმი მიძღვნილ მის „მესხებში“) არაფერია ნათქვამი წმ. ანდრიამ საქართველოში სამისიონერო მოღვაწეობა რომ ღვთისმშობლის ნაცვლად შეასრულა.

სხვა მასალებიდან ერთად, აღნიშნულმაც განაპირობა 1900 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში აკად. ი. ჭავჭავაძის ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგება „წმინდა წყლის ლეგენდად“ რომ მიიჩნია.

4. შეგონება საქართველო, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, პირველად ბიზანტიის იმპერატორის – ბასილ I მაკედონელის (867-886 წწ.) კარზე მოღვაწე, როგორც ახლა გაირკვა, წარმომავლობით ქართვე-

ლის ბასილი პროტოასიკრიტის მიერ ბერძნულ ენაზე შედგენილ ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“ გაცხადდა (ე. ბუბულაშვილის თანახმად, ამ თხზულებაში ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომობის „ანარეკლი შეინიშნება“). როგორც წმ. ილარიონის „ცხოვრებაში“ ნათქვამი, „ულუმბოს მთის ერთ-ერთ სავანში ილარიონისა და მის თანამოსენაკეთა მიმართ ულუმბოს მთის მამასახლისმა „გულისა წყრომითა“ განაცხადა: „ვინ უწყის, ვითარამედ კეთილად ზრახავენ ანუ მართალი სარწმუნოებანიდ უწყრეს“ მათი, და „მსწრაფლ ბრძანა შურაცხებით განძება მათი“.

ქართველი მონაზვნების ასეთი შეურაცხყოფის შემდეგ მამასახლისს ღამით ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა: „ჰოი, უბადრუკო, რაღსა ინებე განძებად უცხოთად მათ რომელნი მოსრულ არიან სიყვარულისათვის ძისა და ღმრთისა ჩემისა... არა უწყია, ვითარამედ მრავალნი დამკვდრებად არიან მთას ამას მათისა ენისა მეტყველნი, და ცხოვნებად არიან ღმრთისა მიერ? და რომელნი მათ არა შეინწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან, რამეთუ ჩემდა მონიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურყევლად მართლმადიდებლობისათვის მათისა, ვინადდგან ჰრწმენა სახელი ძისა ჩემისა და ნათელ-იღეს (ეს ცნობა გაანალიზებული აქვთ: ე. ბეზარაშვილს, ე. ბუბულაშვილს, ს. მახარაშვილს და სხვ.).

ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე მდებარე სავანეებში მოღვაწე ქართველ (ასევე კაპადოკიელ) სასულიერო პირებს, მართლაც, რომ სჭირდებოდათ ბერძენთა მძლავრობისაგან თავის დასაცავად მათი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვედრად გამოეცხადებინათ, ამას ქვემოთ მოტანილი მასალაც მოწმობს.

5. ბასილი პროტოასიკრიტის მიერ ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“ (ეს თხზულება XI საუკუნის დამდეგს ითარგმნა ქართულად) გაცხადებული შეგონე-

ბიდან დიდი დრო არ იყო გასული, 1057 წელს „შურიტა საეპისკოპოსოს ალტრულმა სკიმონნიდის მონაზვნებმა ანტიოქიის პატრიარქს, თევდორი III-ს მოახსენა: „ქართველთა „ნათესავი არს უმეცარი“, ჩვენ მონასტერში მყოფმა ქართველებმა „არა უწყით, თუ რასა ზრახვენ, ანუ რად არს სარწმუნოებად მათი“. „მოციქულთაგანი არვინ მისულ არს ქუეყანასა მათისა“-ო. გიორგი მთაწმინდელის მხრივ, თევდოსი პატრიარქისადმი სათანადო პასუხის შემდეგ, პატრიარქმა გიორგის მიმართა: „დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვთა კულა ყოველთა სწავლულობითა სრულიად ბერძენი ხარ“-ო.

6. როგორც ცნობილია, ბერძენი (ასევე ლათინების სხვა ხალხებს ბარბაროსებად თვლიდნენ. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ბერძენი სასულიერო პირები ქართველებსა და კაპადოკიელებს რომ ქედმაღლურად უდგეოდნენ. ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მოღვაწე ბასილი პროტოასიკრიტს (კანცელარიის უფროსს), ბერძენთა მხრივ „ბარბაროსთა“ დამამცირებელი მიდგომის არაერთი ფაქტი ეცოდინებოდა. ასეთი მოპყრობა ბერძენთა მხრივ იქნებ თვითონაც განიცადა. ბერძენი სასულიერო მოღვაწეებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ბიზანტიის საეკლესიო იერარქიაში „ბარბაროსთა“ რათანამდებობა ეკავა. წარმომავლობით არაბერძენთა დამცირება IV საუკუნეშივე დაიწყო. ბასილ დიდის გარდაცვალების (379 წელი) შემდეგ კაპადოკიის კესარიის ეპისკოპოსად დანიშნულ ბერძენ ელადიუსს კაპადოკიელ მოღვაწეთა დიდი ავტორიტეტი აღიზიანებდა. კესარიის საეპისკოპოსო კათედრის დაკავების შემდეგ, მან არაერთი კაპადოკიელი სასულიერო მოღვაწე თანამდებობიდან გადააყენა. 393 წელს მის სანახავად კესარიაში ჩასული ბასილ დიდის ძმამ – გრიგოლ ნოსელს იგი არ მიესალმა. იმავე ხანში – 381 წელს, კონსტანტინოპოლის მეორე მსოფლიო საეკლესიო

კრების მიმდინარეობისას კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად არჩეული გრიგოლ ნაზიანზელი აიძულეს კათედრა მალევე დაეტოვებინა. სამშობლოში დაბრუნებული, მისადმი ელადიუსის არაკეთილგანწყობის გამო, სრულიად ჩამოშორდა საზოგადოებრივ საქმიანობას (გარდ. 394 წელს). იგივე შემთხვევა განმეორდა XIII საუკუნეში. 1265 წლის 25 მაისს კონსტანტინოპოლის პატრიარქად არჩეული გენადი ლაზის დასამცირებლად ბერძენი სასულიერო პირები სიტყვებს არ იშურებდნენ, საყვედურობდნენ არაბერძნული წარმომავლობის გამო, დასამცირებლად „მარშუნას“ უწოდებდნენ. ამიტომ, გენადი ლაზი იძულებული გახდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო კათედრა დაეტოვებინა. როგორც მ. მჭედლიძე წერს, ბერძენთა მხრიდან ქართველებმა დამცირება განიცადეს ფერარა-ფლორენციის კრების (1438-1445 წწ.) მიმდინარეობისას. კრებაზე გამოსული იოანე პროტონოტარიუსი საქართველოს დელეგაციის წევრმა იმიტომ გააკრიტიკა, მომხსენებელი გამუდმებით რომ არისტოტელეს იმონებდა. ქართველის შენიშვნით, იოანეს ქადაგებისას უნდა დაემოწმებინა არა არისტოტელე, არამედ „წმიდა პეტრე, წმიდა პავლე, წმიდა ბასილი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, ოქროპირი“. ამ შენიშვნის გამო, ბერძენმა სილვესტორის სიროპულოსმა იბერ თავადს „გაუნათლებელი“ და „უცოდინარი ბარბაროსი“ უწოდა.

7. ბასილ პროტოასიკრიტის შეგონება ბერძენი სასულიერო მოღვაწეებისათვის თუ არაფრის მთქმელი აღმოჩნდა, ქართველმა ხალხმა „რწმენაში გაძლიერებით“ გაითავისა ის მოვალეობა, რასაც ღვთისმშობლის წილხვდრობა ავალეობდა, „თავგანწირვით ცდილობდა გაემართლებინა მარიამ ღვთისმშობლის მფარველობა“ (ე. ბუბულაშვილი).

8. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული (ა. აბულაძე, მ. ყაჭეიშვილი), ძველად ათონის მთის მონასტერში წირვისას, თუ მართლაც, იმეორებდნენ მისამღერ „ნენინას“, და ეს მისამღერი იერუსალიმიდან იღებს სათავეს. იქნებ ანგარიშგასაწევია მოსაზრება (ქ. ბეზარაშვილი), ბასილ პროტოასიკრეტის შეგონება ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედრობის შესახებ, ათონის მთაზე არსებული ზეპირ ტრადიციას რომ ემყარება.

ქართული საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საისტორიო სკოლის რეპრეზენტაციის თავისებურებები გვიანანტიკური პერიოდის ქართლის ისტორიის კვლევის მაგალითის მიხედვით

ზურაბ თარგამაძე

ივანე ჭავჭავაძის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
კავკასიის უნივერსიტეტი

ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხების შესახებ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა შესრულდა, გამოცემულია ამ პერიოდის ამსახველი ქართული და უცხოური წყაროებიც. თუმცა, მრავალი საკითხი კვლავ საჭიროებს დაზუსტებას, შესაბამისად, ამ ეპოქის ისტორიის კვლევა ახლაც აქტიურად მიმდინარეობს. აღნიშნული პერიოდი მნიშვნელოვანია იქედან გამომდინარეც, რომ სწორედ ამ დროს გაკეთდა უმთავრესი რელიგიური და პოლიტიკური არ-

ჩვევანი ქრისტიანობის სასარგებლოდ, რამაც ცალსახად განსაზღვრა შემდგომი პერიოდის და, მათ შორის, თანამედროვე ქართული საზოგადოების ფორმაც და შინაარსიც.

ისტორიული წარსულის რეპრეზენტაცია, ცხადია, გულისხმობს ისტორიული წყაროების შესწავლას, ისტორიული მეთოდების გამოყენებას კვლევისას, თუმცა ისტორიის დისციპლინის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობას, რომ როდესაც ისტორიულ რეპრეზენტაციაზე მიდგება საქმე, შეუძლებელია, ისტორიკოსი საკითხის დასმისას სრულიად დისტანცირდეს საკუთარი აწმყოდან, ისე, რომ არ განიცდიდეს მის გავლენას, და, მეორე მხრივ, ეს კიდევ რომ მოახერხოს, ფაქტობრივად, შეუძლებელია ისტორიული წარსულის აღდგენა ისე, რომ დარწმუნებული ვიყოთ მის ობიექტურობაში.

მოხსენებაში შევეცდებით, ერთი მხრივ, დავაკვირდეთ წმინდად მეთოდოლოგიურ საკითხებს და, მეორე მხრივ, ვაჩვენოთ საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა პერიოდებში ქართული საისტორიო სკოლის პროფესიული განვითარების თავისებურებები გვიანანტიკური პერიოდის ქართლის ისტორიის რეპრეზენტაციის მაგალითებზე დაკვირვების გზით.

მონაცემები ჰორიზონტის მხარეთა შესახებ შუა საუკუნეების საისტორიო თხზულებებში: საქართველოს სამეფოს ლოკალიზაციისთვის ქვეყნიერების შესაბამის მხარეში

ალექსანდრე თვარაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მოხსენებაში განიხილება უმთავრესად XII საუკუნის და XIII საუკუნის დასაწყისის საისტორიო თხზულებების ცნობები ჰორიზონტის მხარეთა შესახებ, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია განსაზღვრა, ქვეყნიერების რომელ ნაწილში მოიაზრებდნენ თავს თხზულებათა ავტორები და, შესაბამისად, ალბათ საქართველოს სამეფოს მცხოვრებნიც. თუმცა, თავიდანვე შეიძლება აღინიშნოს, რომ თხზულებების მონაცემები არ არის ერთგვაროვანი. აქვე მოვიტან ტექსტების ცალკეულ ცნობებს შესაბამის საკითხთან დაკავშირებით. თხზულების „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით, გიორგი III წარმოდგება, როგორც „აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა“ მეციხოვნე; ანისთან გიორგი III-ის გამარჯვების შემდეგ ხლათის მმართველმა, შაჰ-არმენმა, შეკრიბა მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი, რომელშიც შედიოდნენ სამხედრო ძალები შამიდან, ჯაზირიდან და დიარბაქირიდან, გიორგი III აქ „წინააღმდეგომ ექმნა ჩრდილოსა და აღმოსავალსა“; ანდრონიკე კომნენოსის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ის გახლდათ „შამის ძმისწული დიდისა მანოელ კეისრისა და ყოვლისა დასავლეთისა და საბერძნეთისა მეფისა“. იმავე დროს, შიომღვიმის-

თვის მიცემულ მამულის მფლობელობის და შეუვალობის განახლების სიგელში გიორგი III თავს აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მფლობელს უწოდებს. „ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით, სპარსეთში ბოლო სამხედრო ექსპედიციის წინ ზაქარია მხარგრძელი, ივანე მხარგრძელი და ვარამ გაგელი მიმართავენ თამარს: მათ სურთ მოაწყონ იმგვარი ლაშქრობა, რომ „ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალი და სიმწნე ჩუენი“. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე საუბრობს თამარ მეფის მიერ საბერძნეთის მთაწმიდის, იერუსალიმის, შავი მთის საყდართა და ეკლესიათა განახლების, თუ არაქრისტიანთაგან გამოსყიდვის შესახებ და იქვე აღნიშნავს: „და თვთ ჴელთაგან მისთა სთულისა სამსხუერპლოდ ღმრთისა და სინმიდისა სამსახურად აკერვინებდა, და ეგრე დასდებდეს ეკლესიათა იქი და აქა აღმოსავლეთისათაცა შინა“. დავითის ისტორიკოსი ეხება მეფის ქალიშვილების გათხოვების საკითხს. მეფემ თავისი ქალიშვილი, კატა, გაგზავნა ბიზანტიის იმპერიაში, „სძლად ბერძენთა მეფისად“, ხოლო მეორე ქალიშვილი, თამარი – შირვანში, შირვანის დედოფლობისთვის: ისინი უნდა ყოფილიყვნენ როგორც ორი მნათობი, ერთი აღმოსავლეთში, ხოლო მეორე – დასავლეთში, „ცისკროვან ჰყოფდნენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი“.

მასალის ზოგად კონტექსტში მოთავსებისთვის სასურველია ასევე შესაბამისი საკითხის შესახებ ცნობების გათვალისწინება ადრეული შუა საუკუნეებისა თუ X საუკუნის დასასრულის და XI საუკუნის მასალიდან. აღნიშნული პერიოდის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ტრადიციაში, ისტორიულ თხზულებებში, საქართველო მოაზრებულია როგორც აღმოსავლეთის ან ჩრდილოეთის ქვეყანა. თუმცა, ვხვდებით განსხვავებულ ნიმუშებსაც, როდესაც, მაგალითად, ჟუანშერის მიხედვით, ვახტანგ

გორგასალი უპირისპირდება აღმოსავლეთის ბანაკს, ან ერთგვარ მედიატორად წარმოდგება დასავლეთს და აღმოსავლეთს შორის. IX–XI საუკუნეებში საქართველოს აღმოსავლეთის ქვეყნად მიჩნევას სავარაუდოდ განაპირობებდა მიმართება ბიზანტიის იმპერიასთან, რის საფუძველზეც უნდა შექმნილიყო, ან განახლებულიყო აღნიშნული მოდელი. როდესაც ქართლი ან საქართველო ჩრდილოეთის ქვეყნად არის მოაზრებული, ამ შემთხვევაში, შეიძლება დაისვას კითხვა, ხომ არ იყო განმსაზღვრელი პალესტინა-სირიის ტრადიცია (ან, ხომ არ შემუშავდა აღნიშნული მოდელი, რაც ასევე შესაძლებელია ქვეყნის აღმოსავლეთში მოქცევის ნიმუშისთვის, ჯერ კიდევ რომის/ბიზანტიის და სპარსეთის – პართიის და სასანიდების სახელმწიფოების, დასავლეთის და აღმოსავლეთის, დაპირისპირების კონტექსტში). ბიზანტიის იმპერია, სავარაუდოდ, ასევე წმინდა მიწა, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ ამოსავალ წერტილს ქმნიან ქართლის, ან საქართველოს ფიქსირებისთვის შესაბამის რეგიონში.

არაერთგვაროვნება, რომელიც დამახასიათებელია აღნიშნული პერიოდის წყაროებისთვის საქართველოს ქვეყნიერების შესაბამის მხარეში მოქცევასთან დაკავშირებით (მაგალითად, ქვეყნის მოთავსება აღმოსავლეთში და, იმავე დროს, ქართველთა მეფის დაპირისპირება აღმოსავლეთის ბანაკთან), გარკვეულწილად ნარჩუნდება XII საუკუნის და XIII საუკუნის დასაწყისის წყაროებში.

XII საუკუნის და XIII საუკუნის დასაწყისის მასალის სურათი, როგორც აღინიშნა, აგრეთვე არ არის ერთსახოვანი. ქვეყნის აღმოსავლეთში ან ჩრდილოეთში მოქცევის ტრადიცია გარკვეულწილად შენარჩუნდა, თუმცა უფრო ხშირად ვხვდებით შესაბამისი მხარეებისგან გამიჯვნის მაგალითებს. როდესაც გიორგი III მოიხსენიება

როგორც „აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა“ მეციხოვნე, ან როდესაც მეფე „წინააღმდეგომ ექმნა ჩრდილოსა და აღმოსავალსა“, მისი სამეფო თავისთავად არ მოიაზრება აღმოსავლეთის ან ჩრდილოეთის ქვეყნად. ასევე, როდესაც თამარის მმართველობის პერიოდში სურთ აჩვენონ „ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა“ თავიანთი ძალა და მხნეობა, ქვეყანა თხზულების ავტორისთვის თავისთავად არ განიხილება როგორც აღმოსავლეთის სახელმწიფო. საისტორიო თხზულებების მონაცემების მიხედვით, ცალკეულ შემთხვევებში, განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერიის დასუსტების შემდეგ, შესაძლოა, აღმოსავლეთში წარდგებოდნენ როგორც გარკვეულწილად დასავლეთის ქვეყანა. დავითის ისტორიკოსის ცნობაში საქართველოს სამეფო თითქოს დასავლეთს და აღმოსავლეთს შორის არის მოქცეული.

იმავე დროს, ბიზანტიის იმპერიაში ან ზოგადად ქრისტიანული ტრადიციის ფარგლებში შემუშავებული ცალკეული მოდელები განსაკუთრებით დასავლეთის და აღმოსავლეთის მიმართებასთან დაკავშირებით, შესაბამის გავლენას ფლობდნენ ასევე ქართულ საისტორიო ტრადიციაში: როდესაც ანონიმი ისტორიკოსი საუბრობს, რომ გიორგი III „წინააღმდეგომ ექმნა ჩრდილოსა და აღმოსავალსა“, ამ შემთხვევაში მეფის მოწინააღმდეგეები არიან სამხედრო ძალები შამიდან, ჯაზირიდან და დიარბაქირიდან, შესაბამისად, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან. აღნიშნულ შემთხვევაში თხზულების ავტორმა ტრადიციის ფორმულა, სქემა, პირდაპირ გადაიტანა მის დროს მომხდარ განსხვავებული ხასიათის მოვლენაზე.

ზემოთ მოტანილი მაგალითები ალბათ დამხმარეა იმ საკითხის გააზრებისთვის, თუ ქვეყნიერების რომელ ნაწილში მოიაზრებდნენ, რომელ სივრცეს მიაკუთვნებ-

დნენ თავს შუა საუკუნეების საქართველოში. აღნიშნულ გარემოებას, ქვეყნის მოთავსებას, ან მოაზრებას ქვეყნიერების შესაბამის სივრცეში, განაპირობებდა ალბათ რიგი ფაქტორები: კონკრეტულ პერიოდში, როდესაც იქმნებოდა შესაბამისი ნაშრომები, მოცემული პოლიტიკური ვითარება, იმ დროისთვის არსებული წარმოდგენები შესაბამის საკითხზე და სხვა.

დასასრულ, შეიძლება აღინიშნოს, რომ ამგვარი არაერთგვაროვნება ქვეყნის შესაბამისი მხარისადმი მიკუთვნებასთან დაკავშირებით შუა საუკუნეებში სავარაუდოდ, დამახასიათებელი გახლდათ იმ ქვეყნებისა თუ მხარეებისთვის, რომლებიც მოქცეულნი იყვნენ სხვადასხვა რეგიონის თუ განსხვავებული კულტურების გადაკვეთაზე. აღნიშნული ვითარება ალბათ შესაძლებელია ასევე გააზრებული იქნეს როგორც ნიმუში, დიდ სახელმწიფოთა, ტრადიციათა გავლენაში არსებობის და, ასევე, თვითდამკვიდრების მცდელობის სხვა სახელმწიფოებთან, კულტურებთან თუ ტრადიციებთან მიმართებაში.

მოხსენებაში წარმოდგენილია გარკვეულწილად წინასწარი მოსაზრებები შესაბამისი საკითხის შესახებ. შემდგომი კვლევის საშუალებით, სავარაუდოდ, შესაძლებელი უნდა იყოს დამატებითი ინფორმაციის, თუ დასკვნების მიღება შუა საუკუნეებში საქართველოს სამეფოს, აგრეთვე, დასავლეთის თუ აღმოსავლეთის, ევროპისა თუ აზიისადმი კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით.

რამდენიმე პარალელი მედიევალური ქართული ისტორიოგრაფიული და ბიბლიური სააზროვნო სისტემიდან

ეკა კვაჭანტირაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მოხსენება ეხება ბიბლიური და ქართული მედიევალური ისტორიოგრაფიის სააზროვნო პარალელების ძიებას.

პირველი, როგორც ბიბლიაში, ასევე „ქართლის ცხოვრებაში“ ღირებულებები, თხრობის მთავარ თემას წარმოადგენს, თუმცა განყენებული იდეის სახით არ არის მოცემული. ღირებულებითი ელემენტი ჩართულია სხვადასხვა სახის ისტორიული მოვლენის გადმოცემისას. ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება იმისა, რომ წყარო მოგვითხრობს რაღაც ისტორიული მოვლენის შესახებ, თუმცა თხრობის შინაარსი და გადმოცემის თავისებურება ააშკარავებს იმ ფაქტს, რომ ეს მოვლენა თავისთავადი მნიშვნელობის არ არის. ის მხოლოდ იმის გამოა გადმოცემული, რომ განისაზღვროს ერის სულიერი მდგომარეობა.

მეორე, რაც ბიბლიისა და „ქართლის ცხოვრების“ საერთო შეხების წერტილს წარმოადგენს, არის ღირებულებითი იდეა. საქმე ის გახლავთ, რომ ყველა ერისა და ქვეყნის ისტორიაში ნაციის ღირებულებით სფეროს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ ბიბლიასა და „ქართლის ცხოვრებაში“ ეს ღირებულება მკაცრად განსაზღვრულია არა მარტივად რელიგიური ელემენტით, რასაც სხვა ხალხების ისტორიაშიც ვხვდე-

ბით, არამედ აქ ღირებულება გამოცხადებით ქვეშარითებას უკავშირდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ ქვეშარითება, რომელიც ფასეული ხდება ერთად ჩამოსაყალიბებელი ხალხისათვის, არის არა ის იდეა, რომელსაც რომელიმე გამოჩენილი პიროვნება თუ საზოგადოება წამოსწევს წინა პლანზე, არამედ ქვეშარითება ეფუძნება გამოცხადებით უწყებას, რომელიც უნდა მიიღოს ისეთი, როგორც მოწოდებულია და ნებისმიერი კორექტირება ამ ქვეშარითებისა ერთი გამოიწვევს ღირებულებით კრიზისს, ეს ამ ერის გაქრობის საშიშროებას ქმნის.

ბიბლიური ისტორია იშლება დროში. სარწმუნოება აქ თხრობის პრინციპი არ არის. ის გადმოსცემს ავტორიტეტულ ვერსიას. თხრობა არა ავტორისეულ განსჯას ემყარება, არამედ ის ანონიმურია, ისტორია კი საკრალური. ასევეა „ქართლის ცხოვრების“ შემთხვევაშიც. ის ანონიმური ისტორიაა.

შემდეგი, რაც ბიბლიასა და „ქართლის ცხოვრებაში“ ძლიერ დიდ მსგავსებას ავლენს, გახლავთ თავად ერის შინაარსის გააზრება, როგორც ღირებულებითი მოვლენისა. ბიბლიისათვის ისრაელიანი და „ქართლის ცხოვრებისათვის“ ქართველი გახლავთ არა პოლიტიკური, არამედ ღირებულებითი ტერმინი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბიბლიისათვის ისრაელიანი არ ნიშნავს შობით მიღებულ პრივილეგიას. ის მოსაპოვებელია ცხოვრების წესით. ასე ვხედავთ ამას „ქართლის ცხოვრებაშიც“. ქართველად მხოლოდ ის შეიძლება იწოდებოდეს, რომელიც ისე აზროვნებს, როგორც ეს ამ ერის ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელ ღირებულებებს შეესაბამება.

შემდეგი, რაც შეიძლება ძლიერ მსგავსებას აჩვენებს ბიბლიასა და „ქართლის ცხოვრებას“ შორის, გახლავთ ისრაელისა და საქართველოს ოქროს ხანა და მისი დასასრული. ორივეს დასაბამს უდებს მეფე ერთიდაიმა-

ვე სახელით. ისრაელში დავით წინასწარმეტყველი, ხოლო საქართველოში დავით აღმაშენებელი არიან ის მეფეები, რომლებიც ქვეყნის შენების მთავარ ხაზს ღირებულებითი ნიშნით შემოწერენ. ორივე მეფე განსაკუთრებული ღვთისმსახურებით გამოირჩეოდა, რაც მათ ქვეყნისა და ერის წინაშე განუღი მსახურებით არის გაცხადებული და რაც ძლიერ მნიშვნელოვანია, ორივე მათგანი ერთგვარი საზომი ხდება წარმატებული მეფობისა. მათი მეფობა მსახურების ნიშნითაა მარკირებული. ოქროს ხანის დასრულება იწყება ერში ღირებულებათა კრიზისის გაჩენით, რაც ისრაელშიც და საქართველოშიც ახალი თაობის ღირებულებით დეზორიენტირებაშია მოაზრებული. ისრაელისა და საქართველოს ოქროს ხანის დასასრული უკავშირდება იმ მენტალურ გადაგვარებას, რაც გულისხმობს სახელმწიფოს კეთილდღეობისა და ძლიერების სამსახურში ერის ღირებულებების მოქცევას. ეს კი არსობრივად უპირისპირდება მათ წინამორბედთა სამოღვაწეო პრინციპს: ღირებულებები უნდა იყოს გამსაზღვრელი ერისა და ქვეყნის ძლიერებისა და არა პირიქით.

ქართლის პირველი კათოლიკოსის აღსაყდრების თარიღისათვის

მანანა სანაძე

საქართველოს უნივერსიტეტი,
თამაზ ბერაძის სახელობის
ქართველოლოგიური ინსტიტუტი

ქართლის სამეფოში კათოლიკოსობის დაწესებისა და პირველი კათოლიკოსის აღსაყდრების დრო უშუალო კავშირშია ვახტანგ გორგასლის მეფობის ქრონოლო-

გიასთან, ვინაიდან ცნობილია, რომ ვახტანგმა კათოლიკოსის გამოგზავნა ბიზანტიას სპარსეთის შაჰთან ინდოეთში რვა წლიანი ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ მოსთხოვა. იმავდროულად წარმოიშვა კონფლიქტი მეფესა და ქართლის მთავარეპისკოპოსს მიქაელს შორის, რაც ამ უკანასკნელის ქვეყნიდან განდევნით დამთავრდა.

ვინაიდან აქამდე ვახტანგის ცხოვრების წლებად მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ 442/445-502/505 წლები, ხოლო სხვათა მიერ კი 431-491 წლები იყო მიჩნეული, ქართლის პირველი კათოლიკოსის პეტრეს ქართლში მოსვლის თარიღის დადგენა დიდ სიძნელებთან აღმოჩნდა დაკავშირებული – ვინაიდან პეტრეს ქართლში მოსვლის ამბის ქრონოლოგიის გამართვა ვერ მოხერხდა, ის ხან გაბრიელთან გააიგივეს, რომელიც 506 წელს დვინის კრებას ვითომდა კათოლიკოსის რანგში ესწრებოდა და ხანაც პეტრეს სახელის მქონე პიროვნების პირველ კათოლიკოსობა საერთოდაც უარყვეს და ქართლის პირველ კათოლიკოსად შუშანიკის „წამების“ სამუელი – „თავი ეპისკოპოსთა“ მიიჩნიეს.

ყველაფერი თავის ადგილზე დგება ჩვენ მიერ შემოთავაზებული ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ახალი ქრონოლოგიის გათვალისწინებით და აქედან გამომდინარე ქართული წყაროების აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ცნონების გადააზრებით.

ვახტანგ გორგასალი არაა შუშანიკის წამების ხანის მეფე, ის 475 წლისათვის მხოლოდ 4/5 წლის იყო. შუშანიკი მისი მამის, მირდატის მეფობაში ეწამა. 460-იანი წლებიდან, ანუ მეფე არჩილის მეფობის ბოლო მონაკვეთიდან დაწყებული, ქართლის ეკლესიას სათავეში სპარსული წარმოშობის, მაგრამ ქრისტიანი მობედან-მობედები ედგნენ – პირველი სამოელი, ფიგურირებს შუშანიკის „წამებაში“, როგორც „ეპისკოპოსთა

თავი“, მისი შემდგომი მთავარეპისკოპოსის იოველის სახელი კი მხოლოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკამ შემოგვინახა. ვახტანგის მიერ ვარსქენის 484 წელს (და არა 482 წელს) მოკვლის, სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყების მარცხით დასრულებისა და ახალგაზრდა ვახტანგის სპარსეთის შაჰ კავადთან (488-496; 498-531 წწ.) შერიგების შემდეგ, ქართლი ეკლესიის მობიდან-მობედების მიერ მართვა ახლა ბინქარანმა (მ. ანდრონიკაშვილის მიხედვით, დინქარანმა – ირანულად: რელიგიის, სარწმუნოების მსახური) შეცვალა, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში გლონოქორის სახელით ფიგურირებს. გლონოქორი დამახინჯებაა და დაქარაგმებული გ(აბრიე)ლ(დი)ნქარ-ის მცდარად ამოკითხვის შედეგია. სპარსეთ-ბიზანტიის ომი, რომელშიც ვახტანგი მონაწილეობს – 502-507 წლების ომია. 504-506 წლებში კავადი უკვე ქართლში ებრძვის ვახტანგს და ჰუნებს, რომლებიც წყაროების ცნობით, იმ ხანად სამხრეთ კავკასიაში შემოიჭრნენ. 506 წელს გაბრიელ დინქარი ესწრება დვინის კრებას, მაგრამ იმავე წელს ვახტანგი მას შეიპყრობს. გაბრიელი გაიქცევა, თუმცა არცთუ დიდი ხნის შემდეგ გარდაიცვლება.

რატომ მოიხსენიებს გაბრიელს ეპისტოლეთა წიგნი და მასზე დაყრდნობით უხტანესი ქართლის კათოლიკოსად? უხტანესი თავის წყაროდ „ეპისტოლეთა წიგნს“ იყენებს, რაც შეეხება საკუთრივ „ეპისტოლეთა წიგნს“ იმ წერილებში, რომლებსაც სომხური მხარე კირიონ ქართლის კათოლიკოსს უგზავნის, სავარაუდოდ, უკვე კირიონის კათოლიკოსად ყოფნის გავლენით, მისთვის სამაგალითოდ მოსაყვანი ქართლის ეკლესიის წინამძღვარიც კათოლიკოსად გაიზარეს. იმავდროულად, ორივე თხზულებაში დაცულია ჩამონათვალი დვინის კრებაზე ქართლის მხრიდან მონაწილე ეპისკოპოსების და ორივეგან გაბრიელი ფიგურირებს, როგორც:

„გაბრიელი ეპისკოპოსი მცხეთისა სახელოვანი“, რაც სწორედ მის მიერ სამთავროს ტახტის პყრობასა და მის მთავარეპისკოპოსობაზე მეტყველებს.

506 წელს გაძევებული გაბრიელის ნაცვლად ვახტანგი მთავარეპისკოპოსად მიქაელს სვამს, როგორც ზენონისა და ანასტასის პოლიტიკის გამტარებელს. 508 წლისათვის ვახტანგი კავადთან ერთად მიემგზავრება ინდოეთში, საიდანაც 516 წლისათვის ბრუნდება. 518 წელს გარდაიცვლება ანასტასი და ბიზანტიის ტახტს იუსტინე I (518-527 წწ.) იჭერს. ახალი კეისარი რელიგიურ პოლიტიკას ცვლის და მკაცრად ქალკედონიტურ მიმართულებას ირჩევს. ვახტანგსაც იგივე კურსი უნდა აერჩია, რისთვისაც იუსტინეს ქალკედონიტი პეტრეს კათოლიკოსად ხელდასხმა და ქართლში გამოგზავნა მოსთხოვა. ჰენოტიკონის მიმდევარი მიქაელისათვის ქალკედონიტი პეტრეს ქართლის კათოლიკოსად (ანუ მის უფროსად) ყოფნა მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ამან მიქაელსა და მეფეს შორის კონფლიქტი გამოიწვია. მიმოსვლის ხანგრძლივობას, კათოლიკოსად და ეპისკოპოსებად კურთხევის დროს თუ დავიანგარიშებთ და ამას იმასაც მივუმატებთ, რომ კურთხეული პირები ანტიოქიაშიც ჩავიდნენ და ქართლში იქიდან მოვიდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ კათოლიკოს პეტრესა და ეპისკოპოსების მოსვლა ქართლში მხოლოდ 519-520 წლებში უნდა მომხდარიყო.

**სკოპცების რელიგიური საქტა საქართველოში
გერმანული წყაროებისა და საარქივო
დოკუმენტების მიხედვით
(XIX საუკუნის 40-50-იანი წლები)**

ავთანდილ სონღულაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ყოველი რელიგია განსაზღვრავს ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას, თუ როგორ და რისთვის იცხოვროს. ეს კი მოითხოვს გარკვეული ზნეობრივი ნორმების დაწესებას, რომელთა დაცვა და შესრულება ადამიანს მიიყვანს სასურველ მიზნამდე.

ევროპაში აგორებულმა პროტესტანტიზმის ტალღამ ოფიციალური რელიგიის წინააღმდეგ, ხელი შეუწყო რელიგიური სექტების აღორძინებას. სექტა (ლათ. „მოძღვრება, სკოლა“) გაგებულია ისეთ რელიგიურ მიმდინარეობად, რომელიც არ ცნობს საკუთარი რელიგიის სჯულის კანონს და აღიარებს მხოლოდ წმინდა წერილს, ისიც მხოლოდ საკუთარი ინტერპრეტაციით.

საქართველოში ქრისტიანული სექტების მრავალსახეობის არსებობა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობით არის განსაზღვრული, რომელთა შორის მნიშვნელოვანია რჯულშემწყნარებლობა. ჩვენთან ქრისტიანული სექტების გავრცელება, სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, განპირობებული არ ყოფილა სოციალურ-ეკონომიკური პირობებით. ეს მოვლენა ძირითადად განსაზღვრულია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების სარ-

ნმუნობრივი თავისებურებებით, მორწმუნეთა სამისიონერო საქმიანობით.

პირველი რუსი რასკოლნიკები, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ სკოპცები (ევნუხები, საჭურისები) იყვნენ. 1822 წლიდან სკოპცებს უმთავრესად რედუტკალეში და სოხუმში ასახლებდნენ. 1825 წლიდან მათ გზავნიდნენ მდინარე რიონთან მდებარე სოფელ მარანში დასახლებლად. მალე აქ თავი მოუყარეს 0.3 ათასამდე კაცს. სკოპცების ერთი ჯგუფი შემდეგში დაასახლეს სოფელ კოდორში. მათ დაევალებათ სამხედრო ტვირთისა და ამუნიციის ტრანსპორტირება ყულევიდან (რედუტკალედან) რიონით-მარანამდე. ამ მძიმე შრომამ და მრავალგვარმა გაჭირვებამ გამოიწვია მნიშვნელოვანი სიკვდილიანობა, რადგან მათ სექტანტურ შეხედულებათა შესაბამისად მოხდენილი კასტრაციის გამო სკოპცების ბუნებრივი გამრავლება არ ხდებოდა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაური მორიც ვაგნერი აღნიშნული სექტის შესახებ გადმოგვცემს: „რუსეთის მთავრობამ... დასჯის მიზნით ბევრი ეს საჭურისი გამოამწყვდიეს ნაცრისფერ მუნდირებში, ბევრი კავკასიაში გადაასახლეს, სადაც მათ შექმნეს სამხედრო კოლონიები. მე საკმაო რაოდენობით ვიხილე ეს ხალხი, რომლებიც ერთი გერმანელი ექიმის მტკიცებით, სხვა ინდივიდებთან შედარებით უფრო მეტად დაავადებულნი ენდემური ავადმყოფობებით წვანან ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში. მკრთალი მიწისფერი, სიგამხდრე და საზიზღარი ქალური გამომეტყველება უწვერო ქოსა სახეებისა ამ საჭურისებს სხვა რუსი ჯარისკაცებისაგან ერთი შეხედვით გამოგვარჩევენებს“.

1855 წელს მარანსა და კოდორში ჩასახლებული სკოპცების რაოდენობა განახევრდა. ცოტა ხანში კი საერთოდ შეწყვიტა არსებობა.

სექტა აქტიურად მოქმედებდა რუსეთში საუკუნე ნახევრის განმავლობაში და, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იქნა განადგურებული.

საკრალური სივრცე ქართულ ჰაგიოგრაფიაში

სოფიო ქალაგიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ერთობის განსახლების ადგილს/ტერიტორიას რომელიც საკრალიზდება სასწაულის აღსრულების მეშვეობით. საკრალიზებულ სივრცეში მყოფობით განსაკუთრებულ სტატუს იძენს თავად ის ხალხი, რომელიც ამ გარემოში ცხოვრობს. წმინდანთა განსასვენებელი ადგილები, წამების ტერიტორია ზებუნებრივი ქმედებით გადაიქმნება საკრალურ სივრცედ. საკრალური სივრცეების ქმნადობა ქრისტიანული ლიტერატურისთვის დამახასიათებელია, თუმცა წმინდანთა ტექსტებში ერთობის და ტერიტორიის საკრალიზების ხაზგასმა არ არის უნივერსალური. ქართულ ჰაგიოგრაფიულ წყაროებში საკრალური სივრცეების შექმნა ემსახურება ხალხის რჩეულობის იდეოლოგიის შექმნა/განახლებას და ტერიტორიის საკრალურობის დასაბუთებას.

საკრალური სივრცეების დაფიქსირება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა რეგიონალური თუ ეროვნული იდენტობის წრთობის პროცესში. ქართულ

ჰაგიოგრაფიულ წყაროებში საკრალური სივრცეების გაჩენა, წმინდანის ჩართულობით, ზებუნებრივი ძალის დაშვებით სასწაულებრივად ხორციელდება.

სასწაულების ჩართვა ემსახურებოდა რწმენის გაძლიერებას, რელიგიური იდეების გადმოცემას, ტერიტორიის მარკირებას. წამების ან წმინდანის საფლავის ადგილას სასწაულებრივად გაჩენილი ნათელ სვეტს საკრალური სივრცის გაჩენის გარდა, სოციალური ფუნქცია ჰქონდა. ღვთაებრივი მოვლენების შემცველი ამბები აძლიერებდა მრევლს, ქმნიდა ან ავითარებდა რჩეულობის იდეას.

წმინდანის ცხოვრება/მარტვილობაში სასწაულს სხვადასხვა დატვირთვა აქვს, თუმცა საინტერესო შტრიხი გამოავლინა სასწაულებზე დაკვირვებამ ეთნიკურობის საკითხის შესწავლის კუთხით. შუა საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიულ წყაროებში დაფიქსირებული სასწაულები, სიუჟეტურად ერთმანეთს ემსგავსება. ნათელი სვეტის დაშვება და საფლავზე/წამების ადგილზე მრევლის განკურნება.

სასწაულების მსგავსი ფაბულა გვხვდება წმ. ნინოს ცხოვრების, წმ. შუშანიკის წამების, წმ. აბო თბილელის წამების, წმ. გობრონის წამების, წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების, წმ. შიოსი და წმ. ევაგრეს ცხოვრების, წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების, წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების, წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების, წმ. დავითისა და წმ. ტარიჭანის წამების, წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების, წმ. იოანე, წმ. ექვთიმე და წმ. გიორგი მთაწმინდელების ცხოვრების ტექსტებში.

XVII-XVIII საუკუნეებამდე შექმნილ თუ რედაქტირებულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, წმინდანის ვნების სიუჟეტი და მომხდარი სასწაული ემსახურება ეკლესიის და მრევლის გაძლიერებას. აღნიშნულ

პერიოდში შედგენილ ქართულ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში ტერიტორიის საკრალიზება დაკავშირებულია წმინდანის მიერ საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვასთან. სწორედ, ამ აქტების მეშვეობით ხორციელდება როგორც კონკრეტული გეოგრაფიული ერთეულის, ასევე ერთობის მთლიანი ტერიტორიის საკრალიზება. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევაში, კონკრეტული წმინდანის სახელი შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ კონკრეტულ ტერიტორიაზე, ზოგ შემთხვევებში კი მოიცავდეს ერთობის მთელ საცხოვრისს. ამავე დროს, წმინდანთა კულტების ჩამოყალიბება და მათ მიერ ხალხის მფარველობის ფაქტი, ხაზს უსვამს ერთობის განსაკუთრებულ სტატუსს. ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში წმინდანის ვნების და სასწაულების ამსახველი მონაკვეთები შემდეგ პერიოდში სხვა დატვირთვასაც იძენს. XVII-XVIII საუკუნეებში რედაქტირებულ თუ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში წმინდანის ძალით სასწაულის მოხდენა არა მხოლოდ ეკლესიის პოზიციების სიმყარეს, ერთობის ჰომოგენურობასაც უზრუნველყოფდა. წმინდანი უპირველესად გააზრებულია როგორც მსხვერპლი, რომელმაც თავისი ერი იხსნა.

გზის მიმართულების მარკენაბელთა სახელწოდებები ქართულ წყაროებში

ქეთევან ქუთათელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

გზის მიმართულების განმსაზღვრელი ლექსიკიდან მნიშვნელოვანია „გეზი“, რაც კახურ დიალექტზე ნიშნავს ბილიკის მიმართულებას, ბილიკის გაყვანას, ტყიან ან ბალახოვან ადგილას გზის გაჭრას. ქართლურ დიალექტზე კი გეზ-ი ირიბი გზის აღმნიშვნელია (ა. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1984: 149). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „გეზი“ უკავშირდება წყლის კიდებზე გასავლელს. გარდა ამისა, იგი „უფროთო, უპირო“ ისარს ნიშნავს (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ.1, 1991: 155), რაც არ გამორიცხავს მიმართულების მნიშვნელობასაც.

გზებსა და გადასასვლელებს უკავშირდება გზაჯვარედინის აღმნიშვნელი ტერმინი „მებოძირი“. სულხან-საბა ორბელიანი მას განმარტავს, „სადა გზანი შეიყრებიან მრავლად“ („ჯვარედინი გზა“) და იგი უკავშირდება „ბოძირ“ სიტყვას (ორბელიანი 1991: 112, 458). როგორც გზაჯვარედინი, ასე აქვს განმარტებული ს. ყაუხჩიშვილსაც „ქართლის ცხოვრების IV ტომის ლექსიკონში (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973: 936). ნ. ბერძენიშვილი მას საგზაო ნიშნად მიიჩნევდა და მოიხსენიებს, როგორც „მებოძირი გზათა“ (შდრ. „ნებოძირი“) (ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, 1966: 117).

ვახუშტი ბაგრატიონი „მებოძირს“ ასახელებს ჩხერიმელას ხეობაში – „არამედ ეს ჩხერიმელა მებოძირი-

დან ხარაგულამდე მიდის აღმოსავლიდამ დასავლეთად“, უთითებს ქართლ-იმერეთის საზღვარზე. მებოძირის ქვემოთ ყოფილა დაბა „ქუაბი“, რომელიც ქართლს ეკუთვნის. მებოძირის ზემოთ ჩხერიმელას ერთვის ჩრდილის ხევი (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973: 379, 758).

ძველი ქართული ენის ლექსიკონში მებოძირი განმარტებულია ასევე, როგორც „განსავალი“ (შდრ. „გარე-განსავალი, გარდამომავალი, გარდასავალი, შთასავალი“), იგივე მებოძირი/გზაჯვარედინი – („წარვედით მებოძირებსა გზათასა; განვედით განსავალთა ზედა გზათასა“), რომლის საინტერესო ფორმაა ასევე, „წიალსავალი“ (ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973: 228, 67). „წიალთან“ დაკავშირებით, ძალზედ საინტერესო ლექსიკაა განხილული, რომელიც შინაარსობრივად ზედმინვენით ესადაგება გზაზე მიმოსვლას. „წიალ“ ერთი მნიშვნელობით გაღმა-გამოღმა მხარეს ნიშნავს, მაგ., „წიალკერძო“ – გაღმა, იმ მხარეს და „წიალმოკერძო“ – გამოღმა, ამ მხარეს (აბულაძე 1973: 543).

რაჭულ და იმერულ დიალექტებზე გვაქვს ასევე სიტყვა „გზაბოძალი“, რაც გზაჯვარედინს, იგივე მებოძირს ნიშნავს, იგი შეიძლება გავიგოთ, როგორც „გზაგასაყარი“ (ღლონტი 1984: 153). ამ შემთხვევაში გზაბოძალი გზის მაჩვენებელს უნდა ნიშნავდეს, რომელსაც სავსებით შეესაბამება მებოძირი და გზაჯვარედინი. მართლაც, „ბოძური“ ქიზიყურ დიალექტზე ისრის კილოს აღმნიშვნელია (ღლონტი 1984: 85). ბოძირი ბოძალიდან უნდა მომდინარეობდეს (ბოძალი /ბორძალი/ბორძარი/ბოძირი). მართლაც, „ბორძალი“ (ბოძალი) გურულ დიალექტზე ისარს, ბოძალს ნიშნავს, „ბოძალი“ კი გუდამაყრულ დიალექტზე ლახვარს, ორპირა ისარს (ღლონტი 1984: 83, 84). ასევე აქვს იგი განმარტებული სულხან-საბა ორბელიანს – „პირ-დიდი და განპებული არს ბოძალი“, ანუ „ისარი ორპირი“ (ორბელიანი 1991: 112,

335-336)¹. გარდა ამისა „ბოძალი“ ლეჩხუმურ დიალექტზე საბოძე ხეს ნიშნავს, რომელსაც ერთნაირი სისქის ორი ტოტი აქვს ამოსული². რაჭულ დიალექტზე გვაქვს ასევე, „ბოძალი ხე“ („ერთად მოჭრილი ორი ხე“) (დლონტი 1984: 84, 85). ორივე შემთხვევაში ეს სიტყვა ნიშანს უკავშირდება და შეიძლება საფუძვლად დადებოდა გზების მიმართულების ან გზაჯვარედინის მიმანიშნებელ პუნქტს. ვახუშტი ბატონიშვილი ასახელებს აგრეთვე, მთას „ორბოძალი“, რომელიც მდინარეების მეჯუდასა და პატარა ლიახვის წყალგამყოფზე (სამების ქედი) მდებარეობს (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973: 369).

ონის რაიონში მდინარეების ჯეჯორასა და ქვედრულას, წყალგამყოფზე არის მთის სახელწოდება „კლდებოძალი“ (ორთოგრაფიული ლექსიკონი 1987: 56). ეს სიტყვა წყაროში მართალია, არ შემორჩენილა, მაგრამ იგი მიუთითებს, რომ გადასასვლელთან ან საგზაო მიმართულების მნიშვნელობის პუნქტთან უნდა გვქონდეს საქმე. წყაროში არ შემორჩენილა, თუმცა არსებობს „ნებოძირის“ ფორმით მთისა და ქედის სახელწოდება (ორთოგრაფიული ლექსიკონი 1987: 75) გურიაში, მესხეთის ქედის განშტოება, მდინარეების ბჟუჟისა და კინტრიშის ზემოთების წყალგამყოფი, რომლის უმაღლესი ადგილია ნებოძირის მთა“ (2364 მ) (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.7, 1984: 361). როგორც ჩანს, აქაც იქნებოდა გზაჯვარედინი, სადაც სხვადასხვა მიმართულების გზები იყრიდნენ თავს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გზაბოძალი, ორბოძალი, კლდებოძალი, მებოძირ/ნებოძირი გზის გასაყარის მაჩვენებელი ტოპონიმებია.

¹ ფშავურ დიალექტზე „ბოძალდ“-ი სასწლეთიანი მშვილდ-ისარია, ქართლურ დიალექტზე კი გვაქვს „ბოძა(ლ)-მშვილდი“, იგივე მშვილდისარი. (შდრ. იმერულ დიალექტზე - „ისარ-ფშვილდი“) (დლონტი 1984: 82, 84-85, 262).

² შდრ. „ბოჭიკო“ გურულ დიალექტზე - „თავტოტიანი ბოძი“ (დლონტი 1984: 85)

სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, რომ „ჯუარედი“ არის ჯვრის სახე – ანუ ჯვარედინი არის ორი ძელის ჯვრისებურად გადამკვეთი, რადგან „ჯუარი ესე არს ძელი გარდაჭდობილი“, რომელიც შეიძლება გავიგოთ, როგორც ორი ძელის ერთმანეთზე დადება. სემანტიკურად, იგი ასევე შეიძლება განიხილებოდეს, როგორც გზაჯვარედინი, ორი ან მეტი გზის ერთმანეთთან გადაკვეთა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯვარი, გარდა სალოცავი ადგილისა და რელიგიური სიმბოლოსი, შესაძლებელია, გზების მიმართულებების აღნიშვნასაც გულისხმობდა. შესაძლოა, ამიტომაც არის, რომ ქართულ წყაროებში მნიშვნელოვან გადასასვლელ უღელტეხილებზე გვხვდება ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა „ჯვართა ყელი“, „ჯვარი“, „რკინის ჯვარი“³. არ არის გამორიცხული, რომ აღმართული სიმბოლო ჯვარიც ზოგიერთ მთაზე ან ქედზე გზაჯვარედინზეც მიუთითებდეს. ზემოაღნიშნულს ადასტურებს უღელტეხილებისა და მთების სახელდება ჯვრის სახელწოდებით საქართველოს სხვადასხვა მხარეში. წყაროში არ შემორჩენილა, თუმცა საინტერესო ფორმებია „ჯვარზენი“⁴, „ჯვარეთი“⁵, „ჯვარილდი“⁶, „ჯვარიქეთი“⁷, „ჯვარისთავი“⁸.

ძეგდი ეჩისთავსაში მოიხსენიება „ჯვართა ყელი“, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოხსენიებული

³ ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ტოპონიმი „დათვისჯვარი/დათვის ჯვარისღელე“ – უღელტეხილი კავკასიონის მთავარ წყალგამყოფზე, საიდანაც პირაქეთა ხევსურეთიდან (არაგვის ხეობა) პირიქეთა ხევსურეთში (არღუნის ხეობა) გადადიოდნენ.

⁴ სოფ. წალენჯიხის რაიონში

⁵ სოფ. ცხინვალის რეგიონში, მდინარეების მეჯუდასა და პატარა ლიახვის წყალგამყოფზე

⁶ უღელტეხილი ლენტეხის რაიონში, სვანეთის ქედის სამხრეთ განშტოებაზე

⁷ სოფ. ხულოს რაიონში

⁸ მთა კახეთის კავკასიონზე, ლაგოდუხისა და ყვარლის რაიონის საზღვარზე

„ყელი“ შეესაბამება ხევის აღწერისას. ქართული წყაროების მიხედვით, კონკრეტულად, მდინარე არაგვის ხეობიდან თერგის ხეობაში გადასვლა ჯვართა ყელიდან ხდებოდა: „გარდავლეს ჯუართა ყელი და ჩავიდეს დარიელს“ (ქსდ, ტ. II, 1965: 105; ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959: 443). ჯვართა ყელი ჯვრის უღელტეხილია. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ მხრიდან ხევის მდინარეს ანუ თერგს ერთვის ხევი, რომელსაც „უწოდებენ შთასავალს“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973: 356). „ჯვრის ანუ ხევისყელის უღელტეხილზე“ (2388 მ) გადიოდა საქართველოს სამხედრო გზა (ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია 1964: 176).

ვახუშტი ბაგრატიონი ასახელებს „გზა რკინის-ჯუარისა“, ისტორიკოსის აღწერილობით სამცხიდან იმერეთში „გარდავალს აქედან გზა კაკას ჳიდზედ, ბაღდადს. ამ გზას ეწოდა, მთით, რკინის ჳუარი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973: 664).

ლიხის ქედზე დღევანდელი საჩხერის რაიონში გვხვდება უღელტეხილის სახელწოდება „ჯვარი“, ასევე ლიხის ქედზევე, საჩხერე-ხაშურის რაიონების საზღვარზე „კორტოხი“ (ორთოგრაფიული ლექსიკონი 1987: 57, 140). ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ „ჯვარ-კორტოხზე“ გზა მიემართებოდა იმერეთისკენ და იგი კოლბეურს გაივლიდა. „კოლბეურიდან ის ერთის მხრით საჩხერეზე, ხოლო მეორეს მხრით სვერზე მიდიოდა“. ამ მიმართულებით უნდა ელაშქრა ალფ-არსლანს 1068 წელს, როდესაც ქართლიდან იმერეთისკენ დაადევნა ქართველ მეფეს ჯარი, მარბიელი არგვეთში გადავიდა და სვერის ციხემდე არბიეს ტერიტორია (ბერძენიშვილი 1966: 32, 35).

ნ. ბერძენიშვილს გზის მაჩვენებლად მიაჩნდა „მილიონის“⁹ სახელწოდებით ქვა: „შეიძლება უფრო მეტის დაჯერებით ვივარაუდოთ, რომ საქართველოს გზებზე ასეთი გზის მაჩვენებლები მდგარა, მათ მილიონი სწოდებით“ (ბერძენიშვილი 1966: 118).

მთიულურ დიალექტზე „სერებზე აგებულ გზის მაჩვენებელ ბოდს“ „ქვაკაცა“ ჰქვია (ღლონტი 1984: 567). აჭარაში, დიდგორას მთაზე ე.წ. „ქვაკაცებთან“, რომლებიც ერთმანეთზე დაწყობილი ქვის ნატეხებისგან შექმნილი კონუსისებური ფიგურებია, მისული მომლოცველები მათ წვიმიანობას, კეთილდღეობას და ჭირნახულის სიუხვეს სთხოვდნენ. თეთრი წყაროს რაიონის სოფლების ტოპონიმიში (ჩამწერი ქ. გოდერძიშვილი) „ქვაკაცა“ გვხვდება, როგორც სალოცავი ქვის სახელწოდება, ასევე ხევის სახელწოდებაც, სადაც ქვის ქანდაკება მდგარა (ქ. ქუთათელაძე, ქვის აღმნიშვნელი ტოპონიმები ქვემო ქართლში, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები III, 2011: 86). ლ. მელიქსეთ-ბეგი მიიჩნევს, რომ „ანთროპომორფიზებულ მონოლიტებს ქართულად ჩვეულებრივ „ქალქვა“//„ქვათარძალი“, ან „ქვაკაცა“//„ქვაკაცი“ ეწოდება“. ასეთ ქვად მას 2.15 სიმაღლის „თიქილ-ტაშის“ სახელწოდებით ქვა მიაჩნდა: „თვით ქვა თავის მოყვანილობით ცილინდრული ფორმისაა, ხოლო ზემო ნაწილი წვეტიანია (კონუსებრი)“. მკვლევარს იგი ქალქვად მიაჩნდა, მაგრამ ფიქრობდა, „უდავოა, რომ ეს ძველი ერთერთი იმ მრავალ „ქვაკაცათაგანია“, რომელსაც ვახტანგ VI იხსენიებს თავის „დასტურლამალში“ თრია-

⁹ შღრ. „მილი“ და „მილიონი“ – „მილი არს ათასი, ხოლო მილიონი - ბევრის-ბევრი“ (ორბელიანი 1991: 482)

ლეთის აღწერისას“ (ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, 1938: 108-109).

„ქუა კაცი“, როგორც ერთგვარი ორიენტირი, მართლაც, მოიხსენიება „დასტურლამალში“ – „მაღლა რომ სამი ქუა კაცის ზის“, „ქუა კაცს ზეით მეთრევანას სამძღვრამდინ, გორას გარდაღმა ქუა კაცს ჩასწორ ჯევის პირამდი“ (ქსძ, ტ. II, 1965: 324). „ქვაკაცთა“ ტოპონიმი მოხსენიებულია „მესხური დავითნის ქრონიკაში“ (ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), 1961: 40). სულხან-საბა ორბელიანი აგებულ „ქვაკაცას“ რაიმეს ნიშნად, „ჭორტის“ სახელწოდებით მოიხსენიებს, ჭორტის დადგმას „აჭორტვას“ უწოდებს. (ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ.2, 1993: 406, 1991, 84), ქვების ერთმანეთზე დადება უკიროდ ხდებოდა. ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჭორტი განმარტებულია, როგორც კონცხი (შდრ. „ჭორტი ქვისაჲ“ და „კონცხი ქვათაჲ“) (აბულაძე 1973: 558). ამრიგად, „ქვაკაცა“ შეიძლება ყოფილიყო, როგორც მონოლითური ქვა, ასევე ერთმანეთზე დადებული შედარებით მომცრო ქვები. იგი შეიძლება გამოეყენებინათ, როგორც საკულტო მნიშვნელობით, ასევე გზის საორიენტაციოდ. თრიალეთი ამ მხრივ, გამორჩეული მხარეა, საიდანაც სხვადასხვა მიმართულებით მიემართებოდა მრავალი გზა.

გზის მიმართულების მნიშვნელობას შეიცავს სახელწოდება „ზეკარა“ – უღელტეხილი კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს დიდი ლიახვისა და თერგის ხეობას. ვახუშტი ბაგრატიონი ასახელებს „ზეკარის¹⁰ კავკასს“:

¹⁰ შდრ. „ზეკარა“ – ქართლურ დიალექტზე „ზეკარის უღელტეხილიდან (ჩრდილოეთიდან) წამოსული ცივი ქარი“ (დლონტი 1984: 231).

და განმარტავს, რომ ზეკარა ეწოდა „კარსავით მყოფისა“ გამო, „სადა გავლის მას შორის გზა“: დვალეების დასამორჩილებლად „გარდავლო სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა და მოსრნა ურჩინი და ყვნა კუალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს“. ვახუშტის ცნობით, „ზრამაგის – ჯევის სათავიდამ გარდავალს ზეკარზედ გზა ქართლს დიდ ლიახუზე“. ისტორიკოსი აკონკრეტებს, რომ „ბჟის-ჯევი სადაცა სდის კავკასსა, მუნ დამმდაბლდების ზეკარის კავკასი და გარდავალს გზა ზამთრისა და ზაფხულისა ზახას და დუალეთს“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973: 434, 644, 647, 648, 372).

„ზეკარის“ უღელტეხილი ასევე გვხვდება მცირე კავკასიონის მთათა სისტემის მესხეთის ქედზე, კერძოდ, სამცხე-იმერეთის გზაგასაყარზე, რომელსაც ქართულ წყაროებში მოხსენიებული ზემოაღნიშნული „რკინის ჭვარი“ შეესაბამება (ორთოგრაფიული ლექსიკონი 1987: 44). ეს უღელტეხილი ხანისწყლისა და ქვაბლიანის ხეობებს აკავშირებს ერთმანეთთან. აღნიშნული ტოპონიმი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა მხარის მთათა სისტემაში შეიქმნა, მის საერთო ქართველურ ძირზე მიუთითებს.

„ზე“-ს სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, როგორც „ზეით, გინა აღმა“, მას შეესაბამება „ზენა-ზეითი“, „ზენაარი – ზეით მყოფი“, „ზენაკე – ზეითკენ“, „ზერე/ზერრე – ზეითივით“ (ორბელიანი 1991: 278, 280). ძველი ქართული ენის ლექსიკონში იგი განმარტებულია, როგორც „ზენა/ზენაით – ზე/ზენა/ზევიდან“ (აბულაძე 1973: 165). დიალექტებში კი ზევით/ზემოთ-ის მნიშვნელობით გვხვდება: „ზეის/ზეისაკ (თუშ.) – ზემოთ, ზემომხრისაკენ, „ზემზემ (ინგილ.) ზემომხრიდან, „ზერე“ (იმერ., რაჭ., ლეჩხ.) – ზევით, ზემოთ (ღლონტი 1984: 231). ხეობებსა და სხვადასხვა მხარეში შემოსასვლელ – გასასვლელი

არის კარი „კლდისაგან და ქვიტკირისგან ქმნული“. შესაბამისად, „ზეკარა/ზეკარი“ მთის ქედზე, მწვერვალზე ზემო მიმართულების აღმნიშვნელ გასასვლელს ნიშნავს.

საქართველოს ისტორიის ლიტერატურული წყაროები: „ბედი ქართლისა“

მარიამ ჩხარტიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ისტორიული მოვლენების რეპრეზენტაციის დროს ძალიან მნიშვნელოვანია წყაროთმცოდნეობითი ბაზის მართებულად განსაზღვრა. რაც უფრო მეტი ტიპის წყაროს მოიცავს ბაზა, მით უფრო ცხოველმყოფელი და სინამდვილის ადექვატურად ამსახველია სურათი, რომელსაც ისტორიკოსი მის ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე აღადგენს.

საქართველოს ისტორიის კვლევისას მეცნიერები ყოველთვის იყენებდნენ და იყენებენ მრავალფეროვან მასალას, მათ შორის, ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებებს. მაგალითად, ქართველი მედიევისტები ხშირად სარგებლობენ ძველი ქართული ლიტერატურის ისეთი მნიშვნელოვანი ჟანრის ძეგლებით, როგორც არის ჰაგიოგრაფია.

მაგრამ ჰაგიოგრაფია თავისი ჟანრული კანონით მაინც უფრო ისტორიოგრაფიაა, ვიდრე თანამედროვე გაგებით მხატვრული ლიტერატურა. და ამიტომაც გარ-

კვეული კვლევის მეთოდის მოშველიების შემდგომ მის გამოყენებას პრაქტიკაში ისტორიკოსები პრობლემურად არ მიიჩნევენ. მაგრამ, ხშირად სრულიად განსხვავებულია ისტორიკოსთა დამოკიდებულება ახალი დროის ლიტერატურის მიმართ. მისი ჟანრული პრინციპი, რაც გამონაგონის აღიარებას ნიშნავს, ისტორიკოსებს, როგორც „ჭეშმარიტის მეტყუელების“ მოყვარულთ, აშკარად აფრთხობთ.

მხატვრული ლიტერატურის საისტორიო წყაროდ გამოყენების პრობლემის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში იდენტფიცირებულია სხვადასხვა შემთხვევა, როცა მხატვრული ლიტერატურა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ისტორიულ რეპრეზენტაციაში. მაგრამ, უმეტესად ესაა შემთხვევები, როცა ხდება პირდაპირი ინფორმაციის გამოყენება. ასეთი ინფორმაცია მცირე მოცულობით შეიძლება მოვიძიოთ მხატვრულ ლიტერატურაში, ისიც მხოლოდ რეალიზმის მიმდევარი მწერლების შემოქმედებაში. სულ სხვაა ამ ტექსტებში დაუნჯებული არაპირდაპირი ინფორმაცია, რომელიც ავტორისა და მკითხველის პერცეფციებს ასახავს. ამ თვალსაზრისით მხატვრული ლიტერატურა (ნებისმიერი მიმდინარეობის ნაწარმოები და არა მხოლოდ რეალიზმის მიმდინარეობის) პირველწყაროა ისტორიკოსისათვის. ანუ, ისტორიულ პრაქტიკაში მხატვრული ლიტერატურა ავთენტურ წყაროდ იქცევა თუ ისტორიკოსი კითხვას დასვამს არა „ტრადიციული“ ისტორიოგრაფიული პარადიგმის მიხედვით, არამედ „ახალი ისტორიის“ პარადიგმის ამოსავალი პოსტულატების გათვალისწინებით. ამ უკანასკნელი პოზიციიდან ისტორიის საგანი ანუ ისტორიკოსის „ტერიტორია“ ჩანს უფრო ფართოდ და მკვლევრის ინტერესიც არ შემოიფარგლება მარტოოდენ იმით თუ რა მოხდა, არამედ აგრეთვე მოიცავს იმასაც (და ზოგჯერ ეს

ინტერესი უპირველესიცაა) თუ როგორ აღიქვამდნენ ადამიანები იმას, რაც მოხდა. ძალიან მნიშვნელოვანია მხატვრული ლიტერატურა ეროვნული თვითცნობიერების ფორმირების პროცესის რეპრეზენტირებისათვის. ის ყველაზე უკეთ აჩვენებს როგორც შიდა ჯგუფურ სოციალურ კოჰეზიას და „ჩვენ“- ის კონცეპტუალიზებას, ასევე ჩვენ/სხვა დიქოტომიის არსს და მისი მოქმედების მექანიზმს იდენტობის მარკერთა გამოკვეთისათვის.

XIX საუკუნე განსაკუთრებული ხანაა საქართველოს ისტორიაში. ეს არის ქართველი მოდერნული ერის კონსოლიდების ეპოქა. კონსოლიდება კი გულისხმობს ეროვნული თვითცნობიერების გამყარებას. სწორედ ამ პროცესს უკავშირდება ქართული მხატვრული ლიტერატურა. ის ასახავს აღნიშნული ეპოქის ქართულ საზოგადოებაში არსებულ ყველა დისკურსს.

ლიტერატურული წყაროებით ქართველთა თვითცნობიერების ფორმირების პროცესის რეპრეზენტაციას მე უკვე მივუძღვენი რამდენიმე სტატია და მოხსენება. საანალიზოდ აღებული მქონდა მეცხრამეტე საუკუნის მხატვრული ლიტერატურის სხვადასხვა ტექსტი. ამ მოხსენებაში კონკრეტულად ვეხები ნ.ბარათაშვილის პოემას „ბედი ქართლისა“.

საანალიზო პოემის დაწერის დროისათვის ანუ 1839 წელს ნ. ბარათაშვილი მხოლოდ 22 წლის იყო. მიუხედავად ასეთი ახალგაზრდული ასაკისა და იმისა, რომ ნ.ბარათაშვილი რომანტიკოსი გახლდათ, პოემა არის ქართველთა ბედის რაციონალური განსჯის გამოხატულება. ამ განსჯისათვის გამოყენებულია ისტორიული მოვლენა, კერძოდ, 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრება.

მოხსენებაში ვრცელ ისტორიული ფონზე განხილული იქნება ის ძირითადი მესიჯი, რომელიც მომდინარე-

ობს აღნიშნული ლიტერატურული წყაროდან. კერძოდ, ვაჩვენებ, რომ პოეტი ცდილობს რუსეთის ფაქტორის რეალისტურ განმარტებას აპათიაში მყოფ თანამემამულეთათვის და ამით ქართული საზოგადოების განუხორციელებელი ილუზიებისაგან განთავისუფლებას, რაც XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში ქართველთა ეროვნული მასშტაბის დეპრესიის მიზეზი გახდა.

ნ. ბარათაშვილი განმარტავს, რომ ერთი სარწმუნოება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ერებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის შესაძლებლობას. ანუ ნ.ბარათაშვილი ახდენს რუსეთის, როგორც „სხვის“, კონცეპტუალიზებას და ამას აკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი მართლმადიდებელია.

აღნიშნული დამოკიდებულება სიახლე გახლდათ „სხვის“ კონცეპტუალიზების იმ პრაქტიკასთან მიმართებით, რომელიც არსებობდა წინა მოდერნულ ეპოქაში, როცა რელიგიური მარკერის მნიშვნელობა უპირველესი იყო კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებულ ჩვენ-ჯგუფთა ფორმირებისათვის.

მაგრამ საინტერესოა, რომ რუსეთის კონცეპტუალიზება „სხვად“, ნ. ბარათაშვილისათვის არ ნიშნავდა რუსეთთან ურთიერთობის მიზანშეუწონლობის მტკიცებას. პირიქით, რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნა მას დადებით მომენტად მიაჩნდა. უბრალოდ, აქ მთავარი იყო რუსეთის „სხვად“ დასახვა, რადგან ასეთი გააზრებით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პირობებშიც კი ქართული იდენტობის შენარჩუნება შესაძლებელი იქნებოდა.

თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდგომ და დაახლოებით იმავე ასაკში მყოფი ილია ჭავჭავაძე თავის „მგზავრის წერილებში“ განიხილავს რუსეთთან მიმართებით XIX საუკუნის ქართველებისათვის კვლავ აქტუა-

ლურ ამ კითხვას – მშვიდობა თუ თავისუფლება, მაგრამ რუსი, რომ სხვაა, ეს ამ დროს უკვე გარკვეულია. და ამ გარკვეულობაში თავის წვლილი აქვს შეტანილი ბარათაშვილის განსახილველ პოემასაც.

ამგვარად, „ბედი ქართლისა“ არის ქართული კულტურული ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენლის ცდა მოახდინოს მისი ერის თვალსაწიერში ახლად გამოჩენილი „სხვის“ ანუ რუსეთის რეალისტური კონცეპტუალიზაცია, რადგან, საფიქრებელია, რომ იგი სწორედ ამას თვლიდა გადამწყვეტად ქართული იდენტობის წრთობისა და შენარჩუნებისათვის.

საქართველო—ბიზანტიის საზღვარი XI საუკუნეში: იმიერტაო

გიორგი ჭიჭვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

1001 წელს იმპერატორი ბასილი II (976-1025), მემკვიდრების წესით, დავით III კურაპალატის (966/978 – 1001) მიწებს დაეპატრონა. აღნიშნული ტერიტორიები ბიზანტიელებმა შემოიმატკიცეს ქართველებთან წარმატებული ომის შემდეგ (1021-1022 წწ.). საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის დაიდო იმ მთებზე, რომლებიც იმიერტაოს კლარჯეთისგან (ორჯოხის მთები) და ამიერტაოსგან (ბარდუს-ოლთისწყლის წყალგამყოფი) ყოფდა. ამის ჩრდილოეთით (მტკვრის ზემო წელი, ქოროხის ქვემო დინების აუზი) კეისრის ხელისუფლება ნომინალური იყო.

დავით კურაპალატის სამემკვიდრეო გარდაიქმნა იბერიის თემად (ცენტრი – ოლთისი), სადაც ბიზანტიური ადმინისტრაცია, სამართალი და ენა ინერგებოდა. ბიზანტიის კეისრები ადგილობრივი არისტოკრატის იმპერიის შიდა რაიონებში გადასახლებასაც ახალისებდნენ; ტაოელ ფეოდალთა ციხესიმაგრეებს კი ბიზანტიელები იკავებდნენ. ამგვარი პრაქტიკა ცხადყოფდა, რომ საიმპერატორო კარი ადგილობრივი ინსტიტუტების ნგრევით ეროვნული თვითმყოფადობის აღმოფხვრას, დაპყრობილ-დამორჩილებულ ხალხთა საერთო იმპერიულ ინტერესთა ფერხულში ჩათრევას და ამ გზით, აღმოსავლეთის საზღვრების მტერთგან კიდევ უფრო ეფექტურად დაცვას ლამობდა.

ანექსიის პირველ წლებში დავით კურაპალატის სამემკვიდრეოში საეკლესიო წესწყობილება, ჩანს, უცვლელი რჩებოდა. მხოლოდ გიორგი I-თან ომის დასრულების შემდეგ ბიზანტიელებმა ბასიანში გააუქმეს ვალაშკერტის საეპისკოპოსო, მის ტერიტორიაზე სამი ეპარქია შექმნეს, სამღვდელმთავრო კათედრები კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქოებს დაუქვემდებარეს.

ამისგან განსხვავებით, პირდაპირი ცნობები იმპერტაოს საეკლესიო ორგანიზაციის შესახებ XI საუკუნეში არ მოგვეპოვება. იბერიის თემზე და, ალბათ, იმიერტაოზეც, იურისდიქციას ანტიოქიის საპატრიარქო იჩემებდა. იმპერიის მიერ იბერიის საკაპეტანოს სამართავად მოვლინებული მღვდელმთავარი უნდა ყოფილიყო ნარსის იბერიის (?) ეპისკოპოსი, რომლის სახელი ოლთისის ციხის წმ. გიორგის ექვსაბსიდიანი ეკლესიის ინტერიერში იკითხებოდა. Notitia Antiochensis ნუსხების თანახმად, ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა პანასკერი თავისი ქვეყნით და კალმალხი. დასახელებულ ტოპონიმებს ფანასკერტთან

და კალმახთან აიგივებენ. ამგვარი იდენტიფიკაცია მხოლოდ და მხოლოდ სახელთა ფონეტიკურ მსგავსებას ემყარება და რეალურ-ისტორიულ საფუძველს მოკლებულია: კალმახი და ფანასკერტი, ისევე როგორც იშხანი და ბანა, ანუ ამიერთაო მთლიანად, საქართველოს სამეფოს საზღვრებში რჩებოდა მე-XI საუკუნის განმავლობაში.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში იმიერთაოს საეკლესიო გეოგრაფიის შესწავლისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პარხლის საამშენებლო წარწერას „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქის“ იოანე V ოქროპირის (1033-1049) მოხსენიებით. საქართველოს პატრიარქის იურისდიქციის დეკლარირება იმიერთაოსა თუ მის ერთ ნაწილზე (პარხლისწყლის ხეობაზე) სავსებით ესადაგება ამ ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის ეთნოკულტურულ ვითარებას, აქ განვითარებულ ქართულ-ბიზანტიურ იდენტობათა დაპირისპირებას, რასაც თვალნათლივ მოწმობს ჰაგიოგრაფიული ძეგლები, იმიერთაოს მნიგნობრული მემკვიდრეობა, ეპიგრაფიკა, მონუმენტური მხატვრობის ნიმუშები. იმიერთაო კულტურულად ქართულ ქვეყნად რჩებოდა. ბიზანტიელებმა იქ ბერძნული ენის დამკვიდრება ვერ მოახერხეს; იმიერთაო იმპერიის ორგანულ ადმინისტრაციულ თუ საეკლესიო ნაწილადაც ვერ აქციეს.

იმიერთაოს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში შემოსვლით კი საქართველოს ეკლესიის პოზიციები ამ მხარეში უფრო გამყარდებოდა. ოშკის ტაძრის 1036 წლის მოხატულობა და გარკვეულწილად, მესტიის ოთხთავის 1033 წლის ანდერძი მხარს უჭერს ე. თაყაიშვილის თვალსაზრისს, რომ ბაგრატიონთა ხელისუფლება იმიერთაოსა თუ მის ერთ ნაწილზე 1030-იან წლებში აღმდგარა. საამისო წერილობითი მოწმობა კი სკილიცას მოეპოვება. რამდენ ხანს შეინარჩუნა ბაგრატ IV-

იმიერტაო, წყაროებიდან არ ჩანს. შეიძლება, შემოერთებული ტერიტორიები კვლავ დაეკარგა XI საუკუნის 40-50-იან წლებში, ბიზანტიის იმპერიასთან დაპირისპირების აქტიურ ფაზაში. 1080 წლისთვის იმიერტაოს დასავლეთი ნაწილი (ასისფორი, იგივე პარხალი) საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა. იმიერტაოს აღმოსავლეთი ნაწილი, ოლთის-მამროვანი („ოლთისნი“) 1070-იანი წლების დასაწყისშიც ბიზანტიელებს ეპყრათ. გადაეცა თუ არა ეს მხარეც საქართველოს მეფეს, წყაროებიდან არ ჩანს.

იმიერტაოს მაგალითმა კიდევ ერთხელ ცხადყო საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობათა და ბიზანტიური ოიკომენიზმის მრავალპლანიანობა. თუ დასავლეთ საზღვრებზე იმპერატორები სასტიკ შეუწყნარებლობას იჩენენ სლავური ენებისადმი, აღმოსავლეთ საზღვრებზე იძულებულნი არიან შეეგუონ ქართული ენის ბატონობას ეკლესია-მონასტრებშიც და ფეოდალთა ციხე-დარბაზებშიც; ადგილობრივ ენას ბიზანტიელები ანიშირაკის ყოფილ სამეფოშიც იწყნარებენ, სამართლებრივ აქტებს ბერძნულიდან სომხურ ენაზეც კი თარგმნიან, მაგრამ იქვე ბერძნულენოვან კათედრებსაც აარსებენ. საქართველოს დაპყრობილ ნაწილში, კერძოდ, ბასიანში, ვაკე რელიეფი და მოსახლეობის ეთნიკურად ნარევი მოსახლეობა ბიზანტიელებს უადვილებს საეკლესიო და ადმინისტრაციულ გარდაქმნებს, ხოლო იმიერტაოში, სადაც მოსახლეობა ეთნოკულტურულად შედუღებულია და ქართული ენა წარმართავს საერო და სასულიერო ცხოვრებას, ბერძნული საეკლესიო წესწყობილება ფეხს ვერ იკიდებს; ტაოს დანაწევრებული რელიეფიც ხელს უშლის ფართომასშტაბიანი ასიმილაციური პოლიტიკის წარმართვას. ამდენად, იხატება საკმაოდ საინტერესო სურათი, როდესაც ბიზანტიის სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის, იბერიის საკა-

პეტანოს ერთი ნაწილი პოლიტიკურად საიმპერიო
ოიკომენეს შემადგენლობაშია, ხოლო კულტურულ-
ეკლესიურად – საქართველოსი. ბიზანტიის კავკასიური
საზღვრებიც შემდგომ კვლევას მოითხოვს.

შენიშვნებისათვის

შენიშვნებისათვის

შენიშვნებისათვის



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



www.ihe.tsu.ge

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

